

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის
ოქმი N13

ქ.თბილისი

9 აგვისტო, 2022 წელი
14⁰⁰საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: გიორგი ახვლედიანი

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: ზურაბ აბაშიძე

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: თინათინ ნიბლოშვილი

საკრებულოს წევრები:

ლევან აბაშიძე	აკაკი ალადაშვილი
ლევან არველაძე	თორნიკე ბიკაშვილი
ვლადიმერ ბოჟაძე	საბა ბუაძე
ოთარ გრიგოლია	მამუკა გუგუშაშვილი
ლევან დავითაშვილი	ირაკლი ეშგვერაძე
ნინო ვარდოსანიძე	კონსტანტინე ზარნაძე
მარიამ ზაქარიაშვილი	ზაზა თავაძე
ანა კაკაბაძე	მიხეილ კაკაურიძე
ნიკოლოზ კახეთელიძე	ნინო კვიციანიშვილი
სალომე კობალაძე	ცოტნე კობერიძე
კახაბერ ლაბუჩიძე	ლილე ლიპარტელიანი
ირაკლი ნადირაძე	შალვა ოგბაძე
გიორგი ონიანი	გურამ ოქროპირიძე
ლევან ჟორჟოლიანი	ნინო რუხაძე
რევაზ სოხაძე	ვახტანგ სურგულაძე
დავით ფარცვანია	გიორგი შარაშიძე
გიორგი ჩაკვეტაძე	ზურაბ ჩიკვილაძე
გივი ჩხარტიშვილი	ავთანდილ ცინცაძე
ნინო წულაძე	ირაკლი ხელაძე
ალექსანდრე ხუჯაძე	ლევან ჯაფარიძე

საკრებულოს სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი გელა ჩივიაშვილი;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი ირაკლი გვილაგა;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსი ირაკლი თავართქილაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილეები: ოთარ ჩიტიძე და დავით ჯაიანი;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ააიპ - თბილისის განვითარების ფონდის უფროსის მოადგილე ქვარა ჩართოლანი.

საკრებულოს სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და მიმართა საკრებულოს წევრებს, წუთიერი დუმილით პატივი მიეგოთ 2008 წლის აგვისტოს ომში და რამდენიმე დღის წინ, გუდაურში სამაშველო ვერტმფრენის ჩამოვარდნის შედეგად გარდაცვლილების ხსოვნისთვის, რის შემდეგაც სხდომაზე დამსწრე საზოგადოებამ, წუთიერი დუმილით, პატივი მიაგო 2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომში და გუდაურში მომხდარი ტრაგედიის შედეგად გარდაცვლილების ხსოვნას.

ირაკლი ხელაძემ ისაუბრა „ქალაქ თბილისში, ქუჩა ც.დადიანი, N32; ქალაქი თბილისი, ქუჩა რკინიგზა, N30; ქალაქი თბილისი, ქუჩა ც.დადიანი, N26, ჩოდრიშვილის N2; ქალაქი თბილისი, რევაზ ურიდიას ქუჩა, N4-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.12.12.011.111; N01.12.12.011.120; N01.12.12.011.128; N01.12.12.011.001; N01.12.12.011.116; N01.12.12.011.129; N01.12.12.033.023; N01.12.12.033.019; N01.12.12.033.020; N01.12.12.033.022) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხზე და განაცხადა, რომ ოპოზიციის მხრიდან ადგილი აქვს საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მცდელობას. მისი თქმით, უკვე მრავალი წელია, ადგილობრივი მოსახლეობის განწყობა არის ამ ტერიტორიის განვითარება და ამიტომ ოპოზიციის მცდელობა აზრს მოკლებულია. აღნიშნა, რომ მთავარი სამუშაო ჯერ წინ არის, შესათანხმებელია დეტალები და როგორც ამ რაიონის მაჟორიტარი, დაინტერესებულია, პირველ რიგში, გადადგმული არ იქნას რაიმე „მავნებლური“ ნაბიჯი. მისი თქმით, ყველა ხედავს, თუ როგორ ვითარდება ქალაქი ბოლო წლებში და ვერავინ იტყვის, რომ დღევანდელ ხელისუფლებას ამ ქალაქისთვის უნდა ცუდი. თუმცა, ოპოზიციის პოლიტიკის დღის წესრიგის ნაწილია, სხვადასხვა თემებთან დაკავშირებით ჰქონდეს ყველანაირი მცდელობა იმისა, რომ საზოგადოება შეიყვანოს შეცდომაში. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ, რა თქმა უნდა, ეს ტერიტორია უნდა განვითარდეს გენ.გეგმის შესაბამისად და აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იქნას რეკომენდაციები და ყველა ნახავს, თუ როგორ დავიცავთ ჩვენს პოზიციებს და საზოგადოებრივ აზრს პროექტის შეთანხმების ეტაპზე.

გიორგი ონიანი გამოეხმაურა ირაკლი ხელაძის გამოსვლას და განაცხადა, რომ დღეს საქართველოში და თბილისში ძალიან ბევრი ისეთი თემაა, რომელიც ძალიან მძიმეა და პოლიტიკურადაც ბევრად უფრო მეტი წონის მქონეა, ვიდრე ეს საკითხი და შესაბამისად, არავინ ცდილობს ამ თემით პოლიტიკური ქულების დაწერას. აღნიშნა, რომ გუშინ საკრებულოში იყო შეხვედრა გმირების ოჯახებთან და ახლობლებთან, რაც ნამდვილად მისასალმებელია, როგორც ხელისუფლების, ასევე ოპოზიციის და საზოგადოების მხრიდან, თუმცა ეს არ უნდა იყოს „ორმაგი სტანდარტი“ და მეორე დღეს, არ უნდა ვრცელდებოდეს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ასევე, მეზრმოლის მიხეილ ქამხაძის პირადი საქმე, რომელიც ინახებოდა თავდაცვის სამინისტროში, მოხვდა რუსების ხელში და არ უნდა იყოს იმის ამსახველი ვიდეოკადრები, რომ რუსი მაღალჩინოსანი ათვალთვრებს ბატონი მიხეილის პირად საქმეს და აცხადებს, რომ ის არის ტერორისტული და დასაჭერი. მისი თქმით, ეს ფაქტი ძალიან სამწუხაროა და კარგი იქნება ვკონცენტრირდეთ ამ საკითხზე და საკრებულოს უმრავლესობის პოზიცია იყოს ამ საქმის სასწრაფოდ გამოძიება და თავდაცვის სამინისტროს იმ თანამშრომლის უმკაცრესად დასჯა, რომელსაც შეხება ჰქონდა ამ პირად საქმესთან. განაცხადა, რომ მისთვის, დღეს, ყველაზე დიდი პრობლემა სწორედ ეს არის და ისურვებდა, რომ საკრებულოს უმრავლესობის ნებისმიერმა წევრმა მოითხოვოს აღნიშნული ფაქტის გამოძიება.

ნინო კვიციანიშვილმა აღნიშნა, რომ საკრებულოს შენობის ფასადზე გამოფენილი აღარ არის უკრაინის დროშა და მისთვის გაუგებარია, თუ რისი ნიშანია ეს. მისი ინფორმაციით, თითქოს საუბარია კონფიგურაციის ცვლილებაზე, მაგრამ არ ფიქრობს, რომ საკრებულოს დეპუტატებს ან თანამშრომლებს მხარდაჭერაზე სჭირდებოდათ მითითება და დროშა ამ მიზნით იყოს გამოფენილი შიდა სივრცეში და ამასთანავე, საკრებულოს შენობის გარე ფასადზე საქართველოს დროშასთან ერთად უკრაინის დროშის გამოფენას სწორედ რომ უფრო ფართომასშტაბიანი მხარდაჭერის ფორმა ჰქონდა. ნინო კვიციანიშვილმა განაცხადა, რომ დედაენის ბართან განვითარებული მოვლენებით ყველამ კარგად ვიხილეთ, თუ როგორია

საზოგადოების განწყობა ამ საკითხისა და ზოგადად, რუსი მოქალაქეების საქართველოში შემოსვლასთან დაკავშირებით, რომელთა ოკუპირებულ ტერიტორიაზე ყოფნის გადამოწმებას არ ახორციელებს საქართველოს ხელისუფლება და შესაძლებელია ბევრ მათგანს დარღვეულიც კი ჰქონდეს ოკუპაციის შესახებ კანონი. ამ ფონზე, თბილისის საკრებულოს შენობის ფასადიდან უკრაინის დროშის ჩამოხსნა, რომელიც ასახავდა ქართველი ერის მომძე ხალხის მხარდაჭერას, არ და ვერ იქნება პოზიტიურად აღქმული ჩვენი მეგობარი სახელმწიფოს ან საერთაშორისო პარტნიორების მხრიდან, პირიქით, ეს ფაქტი ჩრდილს გვაყენებს და ფიქრობს, რომ მსგავსი გადაწყვეტილებების მიღებისას, გათვალისწინებული უნდა იყოს საკრებულოს ოცდაერთი ოპოზიციონერი დეპუტატის აზრი.

გიორგი ტყემალაძემ მიმართა ნინო კვიციანიშვილს, რომ მსგავსი განცხადების გაკეთება უხერხულია, რადგან, ყველამ კარგად იცის, რომ უკრაინაში ომის დაწყების პირველი დღიდან, ნებისმიერი სახით მხარდაჭერის გამოხატვაში თბილისის საკრებულო იყო ერთ-ერთი პირველი. რაც შეეხება საკრებულოს შენობის გარე ფასადიდან უკრაინის დროშის ჩამოხსნას, განმარტა, რომ დროშას და ზოგადად, სიმბოლიკას აქვს სახელმწიფო შენობაზე აღმართვის წესი, რაც, დარღვეული იყო სხვადასხვა მიზეზების გამო და მიუღებელია, ტელევიზიების გამო, ისეთი განცხადებების გაკეთება, თითქოს საკრებულოს ოპოზიციას გული შესტკივა უკრაინელებზე, ხოლო უმრავლესობა, ახორციელებს მათ საწინააღმდეგო ქმედებებს.

საბა ბუაძემ განაცხადა, რომ უკრაინაში მიმდინარე პროცესის პარალელურად, მით უმეტეს, აგვისტოს დღეებში, ყველა ქართველს განსაკუთრებით სტკივა და აწუხებს საკუთარი ჭრილობები და ამ ფონზე გააქტიურებულია დისკუსია იმასთან დაკავშირებით, როგორი უნდა იყოს სახელმწიფოს პოლიტიკა რუსეთიდან ჩამოსული ადამიანების მიმართ. საბა ბუაძემ აღნიშნა, რომ თავადაც იმ ადამიანების რიცხვს მიეკუთვნება, რომლებსაც განსაკუთრებულ საფრთხედ მიაჩნია საქართველოში არა რუსი ტურისტების ჩამოსვლა, არამედ რუსეთიდან მუდმივად საცხოვრებლად შემოსული უდიდესი ტალღის შემოდინება. მისი თქმით, მხოლოდ ივლისის თვეში, რუსეთიდან შემოსულია 150000 ადამიანი, რომელთა დიდი ნაწილი მუდმივად საცხოვრებლად არის ჩამოსული, რაც წარმოუდგენლად დიდი რიცხვია და ჩვენს სახელმწიფოს ამასთან დაკავშირებით, არ გააჩნია პოლიტიკა. ასევე, თბილისს არ გააჩნია პოლიტიკა ტურისტებთან დაკავშირებით, რაც გამოიხატება იმაში, რომ დედაქალაქის მერია არაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ევროკავშირის ქვეყნებიდან მოიზიდოს ტურისტები და თბილისი, როგორც ტურისტული მიზიდულობის ცენტრი, იყოს პოპულარული. აღნიშნა, რომ ტურიზმი უნდა იყოს ჩვენი ეკონომიკისთვის ძალიან მნიშვნელოვანი სექტორი და კომპონენტი, მაგრამ რუსი ტურისტის გარდა, არავინ ჩამოვა იმ ქალაქში, სადაც მოწყობილი არ არის საჯარო ტუალეტები, ძალიან მწვავედ დგას დასუფთავების პრობლემა და სასტუმროებში ითიშება დენი და წყალი. მისი თქმით, „საჭკოთა ნოსტალგიით აღჭურვილი“ რუსი ტურისტი ყოველთვის მოდიოდა და დღესაც მოდის საქართველოში, მაგრამ, ის, ტურისტი, ვინც ორიენტირებულია ხარისხზე, არ ჩამოვა ამ ქალაქში.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ ტურიზმის ხელშეწყობისთვის არსებობს მთელი სახელმწიფო სტრატეგია და იმაზე საუბარი, თითქოს დღევანდელი ქალაქის ხელისუფლება არ ახორციელებს ტურიზმის განვითარების ხელშეწყობას, მიუღებელია. მისი თქმით, ის, რომ გაზრდილია რუსი ტურისტების ნაკადი, არ ნიშნავს იმას, რომ სხვა ქვეყნებიდან ჩამომსვლელი ტურისტების ნაკადი არის შემცირებული. ტურიზმი ყოველთვის იყო ჩვენი ქალაქის პრიორიტეტი და ყველამ კარგად იცის, რომ დღეს მხოლოდ რუსი ტურისტები არ არიან თბილისში.

ირაკლი ნადირაძემ განაცხადა, რომ დედაქალაქი უნდა განვითარდეს, თავისი ცალკეული უბნებით და მათ შორის, უნდა განვითარდეს ის ტერიტორიაც, რომელზეც საუბარია მიმდინარე სხდომაზე. თუმცა, ამ არეალის განვითარება წარმოდგენილი სახით, ეწინააღმდეგება ქალაქის გენ.გეგმას და მისი განვითარების კონცეფციას. რა თქმა უნდა, კომპაქტური ქალაქი ნიშნავს იმას, რომ გარეთ აღარ უნდა გავიდეს მშენებლობები და ქალაქის ცენტრში, რაციონალურად უნდა იყოს ათვისებული დასახლებულ პუნქტებში არსებული

ტერიტორიები, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ 117 მეტრიანი კორპუსები უნდა ჩავდგათ იმ ტერიტორიაზე, სადაც ისედაც უამრავი პრობლემაა. მისი თქმით, ის ეწინააღმდეგება კონცეფციას „თბილისი მწვანე ქალაქი“ და ვერავინ იტყვის, რომ წარმოდგენილ გეგმარებით დავალებაში გათვალისწინებულია დიდი საქალაქო პარკის ან საკმარისი რეკრეაციული სივრცეების მოწყობა. ასევე, ეწინააღმდეგება კონცეფციას „თბილისი კარგად შეკავშირებული ქალაქი“, რადგან სატრანსპორტო დასკვნაში წერია, რომ ამ ტერიტორიასთან არ არსებობს განივი კავშირები და ის რეზერვები და რესურსები, რომელიც გააჩნია მიმდებარე ქუჩებს, იმაზე ორჯერ ნაკლებია, ვიდრე უნდა აშენდეს და შესაბამისად, გეგმარებითი დავალების წარმოდგენილი სახით დამტკიცება ამ ტერიტორიაზე აუცილებლად შექმნის სატრანსპორტო კოლაფსს. აღნიშნა, რომ ასევე, ეწინააღმდეგება კონცეფციას „თბილისი მედეგი ქალაქი“ და განაცხადა, რომ თუ ადამიანები საათობით იდგებიან საცობში, არ იქნება სკოლა, რეკრეაცია და ტერიტორია არ იქნება შესაბამისად განაშენიანებული, იქნება სერიოზული პრობლემა. მისი თქმით, საკრებულოს უმრავლესობას ერთ თვეზე მეტი ჰქონდა იმისთვის, რომ წარმოდგენილ გეგმარებით დავალებაში, დამკვეთთან ერთად, შეეტანა არსებითი ცვლილებები, მაგრამ არანაირი რეალური ცვლილება მასში არ განხორციელებულა. აღნიშნა, რომ გეგმარებითი დავალებიდან განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტამდე არის ერთი ნაბიჯი, პროექტი, პრაქტიკულად, 99%-იანი სიზუსტით მტკიცდება ხოლმე და წარმოდგენილი ფორმით გეგმარებითი დავალების დამტკიცება საკრებულოს უმრავლესობას უნდა იმიტომ, რომ ამ პროექტის უკან დგანან „ქართული ოცნების“ დეპუტატი ნინო წილოსანი და დედადისი და ბიძინა ივანიშვილის „კარის ბიზნესმენი“ ბატონი რუხამე. განაცხადა, რომ ეს იქნება ურბანული კატასტროფა, რადგან დედაქალაქის ცენტრში, სადაც არ არსებობს ნორმალური გზა და რეკრეაცია, სადაც უამრავი ავარიული კორპუსია, ამ მასშტაბის განაშენიანება სერიოზულ პრობლემას შეუქმნის მიმდებარე რაიონებს და ზოგადად, დედაქალაქს.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ საკრებულოს უმრავლესობის წევრებმა ერთი თვე გამოიყენეს იმისთვის, რომ ირაკლი ნადირაძის მიერ ჩამოთვლილი პრობლემები მაქსიმალურად იყოს აღმოფხვრილი, რაზეც რევაზ სოხაძემ უკვე ისაუბრა დეტალურად.

გიორგი შარაშიძემ ისაუბრა საქართველოში რუსი ტურისტების სიმრავლეზე და განაცხადა, რომ გასულ კვირას, თბილისის მერმა გააკეთა საჯარო განცხადება და ოკუპანტი ქვეყნის მოქალაქეების მასობრივ, უკონტროლო და ფაქტობრივად უვადო შემოსვლას ჩვენ ქვეყანაში ტურიზმი უწოდა, რაც იმით გაამართლა, რომ ტურიზმის განვითარება ხელს შეუწყობს ეკონომიკის განვითარებას და სამუშაო ადგილების შექმნას. გიორგი შარაშიძემ განაცხადა, რომ რასაც არა მხოლოდ კახა კალაძე, არამედ მმართველი პარტიის სხვა ლიდერები ტურიზმს უწოდებენ, დღევანდელ ვითარებაში ბევრად სერიოზული საფრთხეებისა და რისკების შემცველია ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების პოლიტიკისთვის. მისი თქმით, ამ დარბაზში ყველას კარგად ესმის ტურიზმის მნიშვნელობა და არავის სჭირდება შეხსენება, რომ ის ნამდვილად მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის და ახალი სამუშაო ადგილების შექმნისთვის, მაგრამ იმ ვითარებაში, როდესაც ოკუპანტი ქვეყნის მოქალაქეები არეგისტრირებენ კომპანიებს, იწყებენ ბიზნესებს, ყიდულობენ უმრავ ქონებას, ხოლო საქართველოდან ქართველი ახალგაზრდობის მაღალი მიგრაციაა, უნდა ვიფიქროთ, რომ იმ სამუშაო ადგილებს, რომელსაც შექმნის ტურიზმი, დაიკავებენ არა ჩვენი, არამედ უცხო ქვეყნის მოქალაქეები. აქედან გამომდინარე, გაუგებარი და აღმაშფოთებელია, რომ შეიძლება ვერ ხედავდე სხვაობას ნორმალურ ვითარებასა და იმ ვითარებას შორის, რაც დღეს ხდება – რუსეთი აგრესიულად იბრძვის მეზობელ უკრაინაში, ყოველდღიურად ანადგურებს მშვიდობიან მოსახლეობას და თავისი იმპერიალისტური მიზნებისთვის აბსოლუტურად ყველაფერზე მიდის. მისთვის ასევე, გაუგებარია, როგორ შეიძლება ვერ ხედავდე სხვაობას, რეალურად ტურისტული მიზნებისთვის შემოსული უცხო ქვეყნის მოქალაქესა და დამპყრობელი, ოკუპანტი, ქვეყნის მოქალაქეებს შორის, რაც საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ უსაფრთხოებას, არამედ დემოგრაფიას და ეკონომიკასაც. განაცხადა, რომ ეს ყველაფერი არ არის ტურიზმი და მოუწოდა ქალაქის მერს, კვლავ გამოვიდეს საჯაროდ და განუმარტოს მოსახლეობას, რომელიც ძალიან სამართლიანად შფოთავს ამ პრობლემაზე, რას აკეთებს

ხელისუფლება იმისთვის, რომ ეს რისკები პრევენციულად იყოს აღმოფხვრილი და არის თუ არა აღნიშნული საფრთხის შემცველი. საუბრის ბოლოს, გიორგი შარაშიძემ გააჟღერა გუნდის ინიციატივა, რომ მოხდეს რუსეთთან უვიზო რეჟიმის გადახედვა, საუბარი არ არის საერთოდ გაუქმებაზე, იგულისხმება ერთწლიანი პერიოდის შემცირება, როგორც მინიმუმ, ერთიდან სამ თვემდე, რაც დღეს არსებულ რთულ ვითარებაში, საკმაოდ ოპტიმალური, სამართლიანი და გონივრული გამოსავალი იქნება.

ცოტნე კობერიძემ განაცხადა, რომ ფიქრობს მართლა შეიძლება ისე გაიღვიძოს რუსულ ქვეყანაში, რომ ვერ მიხვდეს, რისი ერთ-ერთი მაგალითი, მისი თქმით, არის „ქართული ოცნების“ პარტიის თავმჯდომარე კობახიძე, რომელსაც არასდროს შესტკიოდა გული იმაზე, რომ ამ ქვეყანაში არ მოსწონდათ ირანელები ან თურქები, მაგრამ ძალიან გულზე მოხვდა, როდესაც ამ ქვეყანაში ხალხს არ მოსწონს თავისი მტერი რუსები, რისი მიზეზიც, მისი აზრით არის ის, რომ კობახიძე საკუთარ თავს რუსეთთან ერთ პაკეტში ხედავს და იცის რომ მისი პარტია ძალიან ჰგავს რუსეთს. განაცხადა, რომ, როგორც კი ამ ქვეყანაში უფრო და უფრო მეტად გაიზრდება პოსტსაბჭოთა წარმონაქმნის, რუსეთის, სიძულვილი, მაშინვე ჩაქრება „ქართული ოცნების“ პოპულარობა. მისი თქმით, ქართველ ახალგაზრდებს სწორედ იმიტომ არ მოსწონთ ეს ქვეყანა და „გარბიან აქედან“, რომ რუსეთში არ უნდათ და თუ შეეხვდათ კვლევებს, ვნახავთ, რომ არც ერთ ახალგაზრდას არ უნდა „ქართული ოცნებისთვის“ ხმის მიცემა და ალბათ უმრავლესობის წარმომადგენლებს იმის იმედი აქვთ, რომ არჩევნებამდე დაიცლება ეს ქვეყანა ახალგაზრდებისგან და ბოლომდე დამყარებული იქნება საბჭოთა სენტიმენტების მქონე ამომრჩეველზე. თუმცა, ეს ასე არ იქნება, რადგან ეს ახალგაზრდები, რომლებიც დღეს ქვეყნიდან მიდიან, საზღვარგარეთიდან არჩენენ ოჯახებს და შანსს გვაძლევენ, რომ შევძლოთ საკუთარი სიტყვის თავისუფლების დაცვა და შესაბამისად, „ქართულ ოცნებას“ შანსი არ აქვს. ცოტნე კობერიძის აზრით, საკრებულოს უმრავლესობის რამდენიმე წევრს უნდა სცხვენოდეს, როდესაც კობახიძეს უსმენს და იმედი გამოთქვა, რომ არჩევნების შემდეგ მიხვდებიან სად იყვნენ, პირველები დატოვებენ ამ პარტიას და შერცხვებათ, რომ მისი წევრები იყვნენ.

ოთარ გრიგოლიამ განაცხადა, რომ ურბანულ საკითხებთან მიმართებაში უფრო მეტი კვალიფიკაციაა საჭირო, იმისთვის, რომ უაპელაციოდ და ხელაღებით ვამტკიცოთ რაღაცები. ქალაქში, სადაც წლებია მიმდინარეობს სუბურბანული განვითარების პროცესი, ქალაქის შიგნით განვითარება შეიძლება იყოს ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი გადარჩენა იმ სუბურბიების, რომლების განვითარებაც მომავალში შეიძლება დაიწყოს. აქედან გამომდინარე, ქალაქის შიგნით განვითარება და ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯი არის სწორი. მისი თქმით, ამ პროექტს იმ შემთხვევაში დაუჭერს მხარს, თუ ამ ტერიტორიაზე მინიმუმ 4 ჰექტარი მიწის ნაკვეთი დაეთმობა რეკრეაციას და ფიქრობს, რომ ეს პროექტი იქნება ძალიან მნიშვნელოვანი და კარგი შენამენი ქალაქისთვის. ოთარ გრიგოლიამ ისაუბრა ქალაქში ინფრასტრუქტურისა და ტურიზმის განვითარებაზე და განაცხადა, რომ თუ ვინმე ვერ ხედავს ამ ქალაქში ინფრასტრუქტურის განვითარების პროცესს, ეს „მისი პირადი პრობლემაა“, რადგან ქალაქი ვითარდება ძალიან სწრაფად და დინამიურად, 3-5-ჯერ მეტი ინვესტიცია იდება, მათ შორის, თანამედროვე ინფრასტრუქტურის განვითარებაში და უცხოელი ტურისტებისთვის იქმნება ისეთი გარემო, რომ მათ „დემპინგურ“ გარემოში არ იგრძნონ თავი, როდესაც ჩამოვლენ თავისი ქვეყნიდან. აქვე, გამოეხმაურა რუს ტურისტებზე გაკეთებულ განცხადებებს და აღნიშნა, რომ მათზე ამ ფორმით საუბარი პოპულისტური კაპიტალიზაციაა, რადგან ვერაფერს საუბრობს ღიად რაიმე საფრთხეებზე, ოპოზიციის განცხადებები არ ეფუძნება არანაირ სტატისტიკას და საუბარია ისეთ თემებზე, რაზეც წარმოდგენა არ აქვთ და მხოლოდ თვალით დანახული სოციოლოგიაა, რომელსაც არავითარი კავშირი არ აქვს რეალობასთან. საუბრის ბოლოს, ოთარ გრიგოლიამ მოუწოდა ოპოზიციონერ კოლეგებს: „მიხედეთ საკუთარ მორალს, სინდისს და კოლეგების მიმართ გამოიჩინეთ მეტი პატივისცემა... ეს არ არის სასამართლო პროცესი, რომ ვინმეს ჭკუა დაარიგოთ... აქ სხედან ადამიანები, რომლებსაც გაცილებით მეტი ცხოვრებისეული გამოცდილება აქვთ და გაცილებით უკეთ იციან, როგორ მოიქცნენ და რა მორალი უნდა ჰქონდეთ... ვილაცისთვის მორალის კითხვა, თქვენი საქმე არ არის“.

ნინო წულაძემ აღნიშნა, რომ 14 წელი გავიდა რუსეთ-საქართველოს ომიდან, რომელსაც შეეწირა 408 ადამიანი და ამ ომის შემდეგ, რუსეთის მხრიდან მზარდი აგრესიისა და შეუჩერებელი ოკუპაციის ფონზე, სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფლება ხელგაშლილი ხვდება რუსეთის მოქალაქეებს, რომლებიც 24 თებერვლის შემდეგ ჭარბი რაოდენობით შემოვიდნენ საქართველოში და 18 ივლისის ჩათვლით, 3040 უძრავ ნივთზე დაარეგისტრირეს საკუთრების უფლება. მისი თქმით, ყველამ კარგად იცის, რომ საკუთრების რეგისტრაცია დაკავშირებულია საცხოვრებელ ნებართვებთან და ამ ადამიანებს ამომრავებს კიდევ უფრო სხვა, მზაკვრული მიზნებიც. ამ რისკების აღმოჩენის და შეფასების მიზნით, პარტიამ „ანა დოლიძე ხალხისთვის“ 19 აპრილს, საქართველოს პარლამენტში დაარეგისტრირა საკანონმდებლო წინადადება, თუმცა მისი განხილვა დღემდე არ მომხდარა, რადგან, საქართველოს ხელისუფლება, სამწუხაროდ, მიმართავს რუსეთის არგალიზაციის პოლიტიკას. მისი თქმით, დევნილების და რუსეთ-საქართველოს ომში დაზარალებულების მიმართ ხელისუფლება პასუხისმგებლობას გრძნობს მხოლოდ მემორიალზე მისვლით და გვირგვინების მიტანით, რადგან მეთოთხმეტე წელია დევნილები ცხოვრობენ გაუსაძლის პირობებში. მაგალითისთვის ისაუბრა, ჩარგლის ქუჩაზე, საბავშვო ბაღის შენობაში ჩასახლებულ რამდენიმე ოჯახზე, რომლებსაც, ზამთარში, საჭმლის გაკეთება უწევთ საპირფარეოში, არ მიეწოდებათ ბუნებრივი აირი და ამასთანავე, ბაღის ადმინისტრაციის მხრიდან განიცდიან ზეწოლას და მოუწოდა მუნიციპალიტეტს, ჩაერთოს ამ საკითხში და უშუალოდ ამ ოჯახებს, საბინაო პოლიტიკის განხორციელების პროცესში. ნინო წულაძემ ასევე, ისაუბრა ქალაქის იერსახეზე, განაცხადა, რომ თბილისის თითქმის ყველა უბანში საშინელი ანტისანიტარიაა, რაც ძალიან აწუხებს მოსახლეობას და იმისთვის, რომ უახლოეს მომავალში ამ მიმართულებით არ მივიღოთ უარესი მდგომარეობა, თბილისის მერიამ უნდა მოუწოდოს „თბილისერვის ჯგუფს“ შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა ან ვიფიქრით სხვა ალტერნატივაზე, რომელიც მართლა იზრუნებს ქალაქის იერსახის შენარჩუნებაზე და გაგვათავისუფლებს ამ ანტისანიტარიისგან.

გიორგი ონიანი გამოეხმაურა ოთარ გრიგოლიას განცხადებას, რომ თითქოს ოპოზიციის მიერ რუს ტურისტებთან და აგენტურასთან დაკავშირებით გამოთქმული საფრთხეები არ ეფუძნება არანაირ სტატისტიკას და განაცხადა, რომ 2012 წლიდან დღემდე არცერთი რუსი ჯაშუში გამოვლენილი არ არის და თუ ვინმეს საქართველოში სჯერა, რომ ოკუპირებულ ქვეყანაში, იმის გათვალისწინებით, თუ რა ინტერესებიც აქვს რეალურად რუსეთს, მას აგენტი არ ჰყავს, იმ ადამიანებმა, ჩვენ არც ხმა მოგვცეს და არც მოგვისმინოს და ყველას, ვისაც ცალსახად სჯერა, რომ საქართველოში რუსი აგენტები არიან, მათ უნდა იცოდნენ, რომ სტატისტიკა არის ასეთი - „2012 წლიდან დღემდე, არცერთი გამოვლენილი ჯაშუში“.

დავით ფარცვანიამ აღნიშნა, რომ საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიის „Fitch“ მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, ერთ მხარეს გვაქვს სურათი, როდესაც მიგრანტების შემოსვლამ, მათ შორის, რუსეთიდან, ბელორუსიიდან და უკრაინიდან ეკონომიკაზე მოახდინა გარკვეული „დადებითი შოკის“ ეფექტი, თუმცა, ვხედავთ, რომ საქართველოს მოქალაქეებს არ გაჩნიათ ნდობა ამ დროებითი ეკონომიკური სიმძლავრის მიმართ და ამიტომაც მიდიან ქვეყნიდან, რაც, სამწუხაროდ, პრობლემაა. მეორე პრობლემა, რომელიც ამავე დასკვნაშია მითითებული, არის ის, რომ ვხედავთ რისკს, რომ პოლიტიკა, დროთა განმავლობაში, საქართველოს სტრუქტურულ რეფორმებსა და ბიზნეს გარემოს ტვირთად დააწვება ანუ აქ საუბარია, ზოგადად, შიდა და საგარეო პოლიტიკაზე, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში მოგვცემს პრობლემას და ეკონომიკაზე ცუდად იმოქმედებს. მისი თქმით, მისთვის უფრო მეტად საგანგაშო ფაქტი არის არა ის, თუ საიდან და რამდენი ტურისტი შემოვა, არამედ ის, თუ რამდენად ხდება ჯაშუშების იდენტიფიცირება - არ ხდება, ვერ ხდება, ხდება თუ საერთოდ არ არსებობენ ჯაშუშები ამ 250000 ადამიანში? დავით ფარცვანია ასევე, გამოეხმაურა კახა კალაძის განცხადებას, რომ მუნიციპალიტეტი ბევრს მუშაობს ტურიზმის განვითარებაზე და განაცხადა, რომ სამწუხაროდ, ქალაქს არ აქვს ტურიზმის განვითარების გეგმა, რომელიც ჩაშლილი იქნება რაიონების მიხედვით. მისი თქმით, დღეს ამ მხრივ არსებული ვითარება დროებითია,

რომელიც სამომავლოდ არაფერს იძლევა და ამიტომ საჭიროა ქალაქს ჰქონდეს სტრატეგია, თუ როგორ უნდა განვითარდეს ტურიზმი და რა შემოსავალს უნდა ველოდოთ ამ კუთხით.

თინათინ ნიბლოშვილი გამოეხმაურა ტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებებს და აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით საქართველო და განსაკუთრებით თბილისი ერთ-ერთი მიზიდულობის ცენტრია მსოფლიოში და სამწუხაროა, რომ თბილისის საკრებულოს წევრები, რომლებიც ქალაქს უნდა წარმოადგენდნენ, აკნინებენ მას და ამბობენ, რომ თბილისი არის ქალაქი, რომელიც მხოლოდ „დაბალი ხარისხის ტურისტების“ მიზიდულობის ცენტრია. განაცხადა, რომ ზოგადად, გაუგებარია რას ნიშნავს „დაბალი ხარისხის ტურისტი“ და „მაღალი ხარისხის ტურისტი“ და თბილისის საკრებულოს წევრებისგან ასეთი შეფასებების გაკეთება სირცხვილია. თინათინ ნიბლოშვილი ასევე, გამოეხმაურა უკრაინის დროშის საკრებულოს შენობის ფასადიდან ჩამოხსნასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებას, აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანულ კანონში წერია დროშის აღმართვის და გადმოფენის წესები და განაცხადა: „რადაც უნდა წავიკითხოთ და შემდეგ გავაკეთოთ განცხადებები, რომლებიც ემსახურება მხოლოდ ტელევიზიებთან კვლევებს და პოპულიზმს“.

ზურაბ აბაშიძე გამოეხმაურა ნაძალადევის რაიონში განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებებს და აღნიშნა, რომ საკრებულოს ურბანული განვითარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომაზე დეტალურად იქნა განხილული თუ რა არის გეგმარებითი დავალება და რა არის გრგ, თუმცა, დღეს გაკეთდა განცხადებები, რომ თითქოს საკრებულო ამტკიცებს გრგ-ს და რომ ეს არის დანაშაული ქალაქის წინაშე, რაც არის ტყუილი. თუმცა, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებისგან აღნიშნული გასაკვირი არ არის, რადგან ისინი იმაზეც კი ვერ ჩამოყალიბდნენ, თუ როდის დაიწყო 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი და მათი განცხადებები ომის დაწყების თარიღთან დაკავშირებით, ეწინააღმდეგება მათი ლიდერის, ყოფილი პრეზიდენტის ბრძანებულებას, სადაც მითითებულია, რომ ომი დაიწო 8 აგვისტოს. ასევე, გამოეხმაურა ცოტნე კობერიძეს, რომლის დღევანდელი გამოსვლა, მისი თქმით, „პარტიოტულ ნოტებზე თამაშობს“ და მიმართა მას პარტიოტიზმის გამოვლინება იმ ფორმით, რაც მათი პარტიის ლიდერმა მოიმოქმედა ოკუპაციის ხაზთან, მიუღებელია და როდესაც პარტიოტიზმზე საუბრობს, უმჯობესი იქნება შეაფასოს თავისი პარტიის ლიდერის საქციელი.

ნიკოლოზ კახეთელიძემ ნაძალადევის რაიონში განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ოპოზიციის შენიშვნა მისაღები იქნებოდა იმ შემთხვევაში, რომ წარმოედგინათ რაიმე კვლევა, სადაც უარყოფილი იქნებოდა ამ ტერიტორიაზე შესაბამისი პროექტის განვითარება, თუმცა მათი უარყოფითი დამოკიდებულება გამოწვეულია კონკრეტული გვარების მიმართ ანტაგონისტური დამოკიდებულებით და ეს ადამიანები ამ საკითხს აპროტესტებენ პოლიტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე. აქვე აღნიშნა, რომ, როგორც საკრებულოს თავმჯდომარემ და შესაბამისი კომისიის თავმჯდომარემ განმარტეს, განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი პროექტი შემუშავებული იქნება გარკვეული კრიტერიუმების გათვალისწინებით, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს ტერიტორია არ განვითარდება. მისი თქმით, ქალაქის ურბანისტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დეტალი არის დაბალანსებული ქალაქი და ყველამ კარგად იცის, რომ მტკვრის მარცხენა სანაპირო თითქმის განუვითარებელია და ამიტომ, ამ პროექტის განხორციელება ძალიან მნიშვნელოვანია.

ვახტანგ სურგულაძემ განაცხადა, რომ საუბარს აპირებდა არასრულწლოვან ბავშვებზე, რომლებიც ქუჩებში თხოულობენ მოწყალეობას და ამ მიმართულებით ჰქონდა გარკვეული მოსაზრებები, თუ როგორ შეიძლება ამ პრობლემასთან ბრძოლა, თუმცა, ფიქრობს, რომ ამ საკითხზე საუბარს აზრი არ აქვს, რადგან რეალური პრობლემა გვაქვს იმის, რომ შესაძლებელია ხვალ ვიყოთ სრულად ოკუპირებული. მისი თქმით, გაუგებარია რომელ ტურისტებზეა საუბარია? იმათზე, ხომ არა, რომლებსაც მიაჩნიათ რომ ის, რაც რუსეთის მხრიდან განხორციელდა 2008 წელს და 1992-93 წლებში, სწორია და რომლებსაც მიაჩნიათ,

რომ ბიჭვინთა მათი კურორტია და რომლებს სურვილია თბილისის დაერქვას ტიფლისი. მისი თქმით, ჩვენ ვართ ქვეყანა, სადაც რუს მოქალაქეებს შეუძლიათ მთელი წლის განმავლობაში ყოფნა, თუმცა სომხეთში, რომელიც უფრო აფელირებულია რუსეთთან, რუსეთის მოქალაქეებს მხოლოდ 6 თვე შეუძლიათ ყოფნა, ხოლო აზერბაიჯანში - 3 თვე. საუბრის ბოლოს, ვახტანგ სურგულაძემ განაცხადა, რომ რუსეთთან ომი, რომელიც დაიწყო 1801 წელს, არ დამთავრებულა და თუ ეს საკითხი არ მოგვარდება, აზრი არ აქვს ქალაქში არსებულ სხვა უამრავ პრობლემაზე საუბარს.

კონსტანტინე ზარნაძემ ნაძალადევი-ჩუღურეთი-დიდუბის რაიონების ტერიტორიაზე განსახორციელებელ პროექტთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ხსენებული ტერიტორია არის კერძო, რომელიც ან უნდა განვითარდეს, ან მოვიქცეთ „ძველი მეთოდით“ და ჩამოვართვათ ინვესტორს. აღნიშნა, რომ მსგავსი ტერიტორია არის მუხიანშიც, სიონის სტადიონის ტერიტორია, რომელიც 2005 წელს იქნა გასხვისებული, ხოლო 2008 წელს გაიცა ნაბართვა გრგ-ზე და სამწუხაროდ, დღეს ქალაქს ამ ტერიტორიის გამოსყიდვის საშუალება არ აქვს. მისი თქმით, წინა ხელისუფლების დროს, ქალაქში მრავლად იქნა გასხვისებული მსგავსი ტერიტორიები, მათ შორის იპოდრომის ტერიტორია, რომელიც „ქართუს“ გადაწყვეტილებით, დაუბრუნდა დედაქალაქს უკან, თუმცა, ის რომ არ ეყიდა „ქართუს“, თბილისის დადგებოდა ძალიან დიდი პრობლემის წინაშე. მისი თქმით, ამ გრგ-ს დამუშავების პროცესში ნაძალადევი-ჩუღურეთი-დიდუბის რაიონების მოსახლეობას გაუჩნდება ახალი შესაძლებლობები და ყველა ერთად, ჩავერთვებით ამ პროცესში, რომ არ დაზიანდეს ქალაქის ურბანული ქსოვილი და განაშენიანება განხორციელდეს ადეკვატურად. კონსტანტინე ზარნაძე გამოეხმაურა ქალაქში არსებულ ანტისანიტარიასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებას, დაეთანხმა ნინო წულაძეს, რომ თბილისში ნამდვილად დგას დასუფთავების პრობლემა, რაც, მისი თქმით, ძირითადად, გამოწვეულია იმით, რომ საყოფაცხოვრებო ნარჩენებისთვის განკუთვნილ ურნებში მოსახლეობა ყრის სამშენებლო ნაგავს, რომელიც აზიანებს ტექნიკას, ხოლო დაზიანებული ტექნიკა ვეღარ ფუნქციონირებს სათანადოდ, რაც, თავის მხრივ, იწვევს არსებულ პრობლემას. თუმცა, მისი ინფორმაციით, მომავალი კვირიდან მოხდება „თბილსერვის ჯგუფის“ ტექნიკის და ნაგავშემკრები კონტეინერების განახლება, რაც გადაწყვეტს არსებულ პრობლემას.

ნინო რუხაძემ განაცხადა, რომ საკრებულოს ოპოზიციონერი კოლეგები საუბრობენ ისეთ თემებზე, რომლებზე საუბარსაც სჭირდება შესაბამისი კომპეტენცია და უშიშროების და უსაფრთხოების საკითხებზე უნდა ისაუბრონ შესაბამისი უწყებების წარმომადგენლებმა. აღნიშნა, რომ გამოცდილი აქვს, თუ რას ნიშნავს იყო „ეროვნების დემონიზაციის მსხვერპლი“ და განაცხადა, რომ არ სურს მსგავსი შოვინისტური პრაქტიკა არსებობდეს საქართველოში.

მამუკა გუგეშაშვილმა განაცხადა, რომ ოპოზიცია საუბრობს არა იმ ადამიანებზე, რომლებიც საქართველოში ჩამოსული არიან დასასვენებლად, არამედ იმათზე, ვინც დიდმის ხეივანი მოხატეს „Z“ ასოებით და სწორედ რომ უშიშროების სამსახურის საქმეა განასხვაოს სამოგზაუროდ ჩამოსული ტურისტი მტრულად განწყობილი ადამიანებისგან, რასაც არ აკეთებს. დაეთანხმა გიორგი შარაშიძის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ რუსი მოქალაქეების საქართველოში ყოფნის ვადები იყოს შეზღუდული და კონტროლდებოდნენ ეს ადამიანები, რადგან ყოვლად მიუღებელია ოკუპანტი ქვეყნის მოქალაქე იქცეოდეს ისე, რომ შეურაცხყოფას აყენებდეს ჩვენს ქვეყანას და ქალაქს. მამუკა გუგეშაშვილი გამოეხმაურა 2008 წლის ომის დაწყების თარიღთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებას და აღნიშნა, რომ რუსეთმა ომი გაცილებით ადრე დაიწყო, თუმცა 8 აგვისტოს, საქართველოს ხელისუფლებამ პასუხი გასცა აგრესორ ქვეყანას. ასევე, გამოეხმაურა დასუფთავებასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებას და აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით არსებული მდგომარეობა მოსახლეობას კი არ უნდა დავაბრალოთ, არამედ უნდა ვაღიაროთ, რომ აღნიშნული გამოწვეულია იმით, რომ უკვე წლებია არ შეცვლილა არსებული ტექნიკა.

ლილე ლიპარტელიანმა განაცხადა: „მე, საქართველოს მოქალაქე ლილე ლიპარტელიანი, რომლის სამშობლოს ანექსია მოახდინა რუსეთმა 1801 წელს, 1875 წელს მიწასთან გაასწორა

თავისუფალი სვანეთი, 1821 წელს მოახდინა ჩემი ქვეყნის ანექსია, 1993 წელს მოახდინა ჩემი ქვეყნის 15%-ის ოკუპაცია, 2008 წელს მოახდინა ჩემი ქვეყნის 5%-ის ოკუპაცია, უფლებას ვიტოვებ, გინდათ ქსენოფობი მეძახეთ, გინდათ შოვინისტი, რაც გინდათ მეძახეთ, უფლებას ვიტოვებ, რომ მძულდეს რუსეთი და რუსები, ადამიანები, რომლებიც ტურისტებად კი არა, სამტროდ არიან შემოსულები ჩვენს ქვეყანაში“. ლილე ლიპარტელიანმა მიმართა საკრებულოს უმრავლესობის წევრებს: „ზოგი ნებით ხართ ჩართული ამ ყველაფერში, ზოგი უნებლიეთ, მაგრამ ყველა ძალიან კარგად გრძნობთ, რომ თქვენი მთავრობა და თქვენ ძალიან დიდ ნაბიჯებს დგამთ რუსეთისკენ და ჩვენი ქვეყნის ანექსირება ძალიან მალე იქნება, თუ თქვენ ხელისუფლებაში დარჩით და ეს მორალის კითხვა „შეიმინგად“ ნუ მიგაჩნიათ“. აქვე განაცხადა, რომ მიუღებელია ოპოზიციის წარმომადგენლებს კომპეტენტურობისკენ მოუწოდონ იმ ადამიანებმა, რომლებიც ერთმანეთისგან ვერ არჩევენ „ინფორმაციას და იმფორმაციას“ და „პრესკონფერენციას და პრესკომფერენციას“. საუბრის ბოლოს, გამოეხმაურა ნამალადევი-ჩუღურეთი-დიდუბის რაიონების ტერიტორიაზე განსახორციელებელ პროექტს და აღნიშნა, რომ მისი განხორციელებით გამოწვეულ პრობლემებზე ადგილობრივი მოსახლეობა პასუხს მოსთხოვს ამ რაიონების მაჟორიტარ დეპუტატებს.

შალვა ოგბაიძის თქმით, როდესაც ვსაუბრობთ ორი რაიონის შეკავშირებაზე, უნდა აღინიშნოს, რომ ვახუშტის ხიდიდან გამავალი ქუჩის ნამალადევთან დაკავშირების პროექტი დაიწყო 1980-იანი წლების ბოლოს და ხიდის მალე ნაწილობრივ აშენებულია ყოფილი კახოვკის ქუჩის ბოლოს. მისი თქმით, ყველას შეუძლია იმის ნახვა, თუ რატომ არ განხორციელდა აღნიშნული პროექტი და რა შენობების მშენებლობის უფლება გაიცა წინა ხელისუფლების დროს, რომლებმაც „დაასამარა“ ხსენებული მარშრუტით დედაქალაქის ორი რაიონის დაკავშირება.

მიხეილ კაკაურიძემ განაცხადა, რომ ქვეყანაში არსებული დამაბული ვითარების ფონზე, ძალიან ძნელია კონტრუქციული საუბარი და აგვისტოს ამ მძიმე დღეებში, როდესაც ადამიანი გაიგებს, რომ მის ქვეყანაში შემოვიდა 150000 ადამიანი მტერი სახელმწიფოდან, რომლის მოქალაქეებიც დღეს უკრაინაში ტეროტირსტებად არიან ქცეულები, ნერვიულობა ჩვეულებრივი ამბავია. ისაუბრა ნამალადევი-ჩუღურეთი-დიდუბის რაიონების ტერიტორიაზე განსახორციელებელ პროექტზე და აღნიშნა, რომ საკითხი საკრებულოში შემოვიდა ერთი თვის წინ, თუმცა დღეს განსახილველად წარმოდგენილია ზუსტად პირვანდელი სახით. ამ გეგმარებითი დავალების ირგვლივ შეგვემოლო გვესაუბრა მართლაც დამაკავშირებელ დერეფანზე, თუმცა, არავითარი კონკრეტული ნაბიჯი არ იქნა გადადგმული ამ მიმართულებით და უმჯობესი იქნება აღნიშნული საკითხის განხილვა გადაგვედო მანამ, სანამ ეს კონკრეტული ნაბიჯები არ იქნება ასახული წარმოდგენილ გეგმარებით დავალებაში, რადგან რომ არ შესრულდეს კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაციები, უნდა ჩავარდეს პროექტის განხორციელება. აქედან გამომდინარე, გამოთქვა მოსაზრება, რომ პირველ რიგში, უნდა დაისახოს რეალური გზები იმისა, თუ როგორ უნდა განხორციელდეს პროექტი, რომ არ გამოიწვიოს ის კოლაფსი, რაც მითითებულია დასკვნებში. მისი თქმით, გეგმარებითი დავალებით წარმოდგენილი მოცულობის ნახევარი ინტენსივობის ათვისების შემთხვევაშიც კი შეუძლებელი იქნება გამტარიანუნარიანობის რაიმე რესურსის გამონახვა და ამასთანავე, გამოიწვევს ძალიან ბევრ სხვა პრობლემას.

კახაბერ ლაბუჩიძემ განაცხადა, რომ როდესაც საუბარია ქალაქის იერსახეზე უნდა ითქვას ის, თუ როგორი აეროპორტი გაკეთდა დღევანდელი ხელისუფლების პირობებში; კახეთის გზატკეცილი არასდროს ყოფილა ისეთი ლამაზი, როგორც არის დღეს; ქალაქში არასდროს ყოფილა ამდენი მწვანე კუნძული; არასდროს ყოფილა ისეთი საზოგადოებრივი ტრანსპორტი, როგორც არის დღეს. გამოეხმაურა ქალაქში არსებულ ანტისანიტარიასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებას და აღნიშნა, რომ დღეს არსებული მდგომარეობა არავის მოსწონს, თუმცა, ორწლიანი პანდემიის გამო შეჩერდა ამ მიმართულებით დაგეგმილი განსახორციელებელი სამუშაოების შესრულება და „თბილსერვის ჯგუფის“ ტექნიკის სრული განახლების პროცესი, რაც აუცილებლად გაგრძელდება უახლოეს მომავალში.

გივი ჩხარტიშვილმა ისაუბრა ნამალადევი-ჩულურეთი-დიდუბის რაიონების ტერიტორიაზე განსახორციელებელ პროექტზე და აღნიშნა, რომ ამ სამი რაიონის მაჟორიტარი დეპუტატების მთავარი ინტერესი, პირველ რიგში, არის ის, რომ გათვალისწინებული იყოს ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემები, მათ შორის, მოგვარებული იქნას ავარიული სახლების მაცხოვრებლების პრობლემა. მისი თქმით, აღნიშნული პროექტი მისასალმებელია და, რა თქმა უნდა, მის განხორციელებას მხარს დაუჭერს, რადგან დედაქალაქს სჭირდება განაშენიანება და უკეთესი განვითარება. ასევე, ისაუბრა ტურიზმის განვითარებაზე და განაცხადა, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს შემუშავებული აქვთ ახალი სექემა, რომ საზოგადოებაში გამოიწვიონ „აურზაური“ და რაღაც სახით შექმნან ისეთი ფონი, თითქოს ქვეყანაში შემოვიდნენ რუსები, რომლებიც აქ რჩებიან და აყდერებენ სხვადასხვა მოსაზრებებს, რომელიც თვადაც არ იცინა რას ემსახურება.

ანა კაკაბაძე გამოეხმაურა ცოტნე კობერიძის მიერ გაკეთებულ განცხადებებს და მიმართა მას: „თქვენ და თქვენმა პარტიამ, რატომღაც, წარმოიდგინეთ, რომ თქვენი პარტია წარმოადგენს ახალგაზრდებს, თქვენ ხართ ახალგაზრდული ხმა და თქვენი იდეოლოგია წარმოადგენს ახალგაზრდების იდეოლოგიას. სამწუხაროდ, ეს არა მარტო მოირგეთ, დაიჯერეთ და დარწმუნებულეხი ხართ, რომ წარმოადგენთ ახალგაზრდებს... ამის საპასუხოდ, მინდა შემოგთავაზო: გადახედე ოპოზიციაში და „ქართულ ოცნებაში“ რამდენი ახალგაზრდაა. თუ გინდა, დავსხდეთ და გამოვთვალოთ აქ, ამ დარბაზში, საშუალო ასაკი ვისი უფრო მაღალია, „ქართული ოცნების“ თუ ოპოზიციის... მინდა, რომ ამ რიცხვებით და რაციონალური არგუმენტებით მივიდეთ იქადე, თუ რას წარმოადგენს ახალგაზრდობა და რა იდეოლოგია აქვს... კოლეგიალური რჩევა მექნება, სანამ ახალგაზრდების სახელით ისაუბრებთ, ჯერ რეიტინგებს გადახედეთ და შემდეგ ამ დარბაზში მსხდომ ახალგაზრდებს“.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკს (KfW) შორის „მდგრადი ურბანული მობილობა საქართველოში“ პროექტის ხელშეკრულების გაფორმების მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან თანხმობის მიღების შესახებ“;

მომხსენებელი: დავით ჯაიანი

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N5-14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: გელა ჩივიანაშვილი

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სპორტი უფროსი თაობისთვის“ (კოდი 08 06 07) ფარგლებში საცურაო აუზების და ფიტნეს დარბაზების მომსახურების მისაღებად, 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: ირკლი გვილავა

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრის“ დაფუძნების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: ირაკლი გვილავა

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 მაისის N10-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ქვარა ჩართოლანი

6. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ქვარა ჩართოლანი

7. „ქალაქ თბილისში, ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩა N173-ში, კორპუსი N6-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.09.001.020.01.017) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

8. „ქალაქ თბილისში, ჰოსპიტლის შესახვევი N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.12.023.049) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

9. „ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N61-ში მდებარე 120.15 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.047.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

10. „ქალაქ თბილისში, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩა N29-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.003.034) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

11. „ქალაქ თბილისში, ჰოსპიტლის შესახვევი N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.12.023.049) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

12. „ქ.თბილისში, სარაჯიშვილის ქუჩა N89-ში მდებარე სპორტული მოედნის მიმდებარედ არსებული 1095 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.11.05.027.008) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

13. „ქალაქ თბილისში, დიღმის მასივში, III კვარტალში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ.: N01.13.03.038.004) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

14. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების: ქ.თბილისში, მუხიანის დასახლება III მ/რ, კორპუსი N15-ის მიმდებარედ 1412 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.13.005.099) და ქ.თბილისში, სოფელ დიღომში არსებული 7800 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.035.161) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

15. „ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლება, III და IV მიკრო რაიონებს შორის N01.10.07.007.104 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 19000 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „არომასთვის“ (ს/ნ.: 245599990), კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

16. „ქ.თბილისში, მარჯანიშვილის მოედანზე, დ.აღმაშენებლის გამზ.N86-90-ის მიმდებარედ რეგისტრირებული 634 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ტერიტორიიდან (ს/კ.: N01.16.05.002.035) 9 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ბჭრ ჯორჯიასთვის“ (ს/ნ.: 402179771) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

17. „ქალაქ თბილისში, მარჯანიშვილის მოედანზე, დავით აღმაშენებლის გამზირი N86-90-ის მიმდებარედ რეგისტრირებული 634 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ტერიტორიიდან (საკადასტრო კოდი: N01.16.05.002.035) 16 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ტამტამისთვის“ (ს/ნ.: 406348590) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

18. „ქ.თბილისში, მედეა ჯუღელის ქ.N10-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების (ს/კ.: 01.15.03.010.218; 01.15.03.010.219) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერისთვის“ (ს/ნ.: 203826002) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

19. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კვგ ჯგუფს“ (ს/ნ.: 454409907) შორის, 2020 წლის 6 იანვარს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №-499-5-24641 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის ნაწილობრივ გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

20. „თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 24 ოქტომბრის N3/2418-18 გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით განსახორციელებელ რიგ ღონისძიებათა თაობაზე“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 6 ივლისის N22.1027.1125 განკარგულების ფარგლებში გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

21. „ქალაქ თბილისში ბერი გაბრიელ სალოსის გამზირზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 767 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N01.17.14.001.457) და 450 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N01.17.14.001.459) მიწის ნაკვეთების და ქ.თბილისში, ოქროყანას დასახლებაში არსებული 434 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.06.012.159) „მორიგების დამტკიცებისა და საქმის წარმოების შესახებ“ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 8 ივნისის N28/348-22 განჩინებით დამტკიცებული მორიგების აქტის ნაწილობრივ აღსრულების მიზნით პრივატიზების თაობაზე“ საკითხის შეთანხმების შესახებ“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

11. „ქალაქ თბილისში, ჰოსპიტლის შესახვევი N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.12.023.049) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 274 კვ.მ. ფართის გადაცემა ხუთი პირისთვის.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

12. „ქ.თბილისში, სარაჯიშვილის ქუჩა N89-ში მდებარე სპორტული მოედნის მიმდებარედ არსებული 1095 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.11.05.027.008) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია საქართველოს რაგბის კავშირისთვის 1095 კვ.მ. მიწის ნაკვეთის გადაცემა, რომელიც არის სტადიონის ნაწილი და სარგებლობის უფლებით, გადაცემული აქვს ავჭალის სარაგბო ბაზას. იმისთვის, რომ მიწის ნაკვეთი გაერთიანდეს ერთ საკადასტრო კოდში, ხდება ხსენებული მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემა და ამასთანავე, მიეთითება, რომ აუცილებლად უნდა იყოს სპორტული დანიშნულების.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

13. „ქალაქ თბილისში, დიდმის მასივში, III კვარტალში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ.: N01.13.03.038.004) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისთვის 13000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის გადაცემა, რომელიც არის ყოფილი „ავაზას“ საწვრთნელი ბაზა, თუმცა, გასხვისებული იყო წინა ხელისუფლების მიერ და წლების განმავლობაში იყო კერძო საკუთრებაში. აღსანიშნავია, რომ მესაკუთრესთან მოლაპარაკებების შედეგად, აღნიშნული ტერიტორია დაუბრუნდა მუნიციპალიტეტს და შემდგომში სპორტული ბაზის და სკოლის მოწყობის მიზნით, გადაეცემა ფეხბურთის ფედერაციას.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

14. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების: ქ.თბილისში, მუხიანის დასახლება III მ/რ, კორპუსი N15-ის მიმდებარედ 1412 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.13.005.099) და ქ.თბილისში, სოფელ დილოში არსებული 7800 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.035.161) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია მუნიციპალურ და კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების მონაცვლეობის საკითხი. აღსანიშნავია, რომ მიწის ნაკვეთებს შორის ფასთა სხვაობა არის მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ, რასაც ფიზიკური პირი გადაიხდის ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი თვის ვადაში.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

15. „ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლება, III და IV მიკრო რაიონებს შორის N01.10.07.007.104 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 19000 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეობისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „არომასთვის“ (ს/ნ.: 245599990), კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულების დაკმაყოფილების საკითხი. მუნიციპალიტეტმა, დიდი დიღმის დასახლება, III და IV მიკრორაიონებს შორის, 19000 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე, საცხოვრებელი ზონა 5-ის და კ2 კოეფიციენტი 1.8-ის პარამეტრებით, გამოაცხადა ინტერესთა გამოხატვა, რომელშიც გამარჯვებულ კომპანიას მუნიციპალიტეტისთვის, შემდგომში კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულებისთვის გადაცემის მიზნით, უნდა გადმოეცა 3450 კვ.მ. ფართი, თუმცა გამარჯვებული კომპანია მუნიციპალიტეტს გადასცემს 9000 კვ.მ. ფართს, თეთრი კარკასის მდგომარეობაში. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი პროექტით დაკმაყოფილება 119 ოჯახი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

16. „ქ.თბილისში, მარჯანიშვილის მოედანზე, დადმაშენებლის გამზ. N86-90-ის მიმდებარედ რეგისტრირებული 634 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ტერიტორიიდან (ს/კ.: N01.16.05.002.035) 9 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ბჭრ ჯორჯიასთვის“ (ს/ნ.: 402179771) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში ღია კაფეს მოწყობის მიზნით. იჯარის მოქმედების ვადა არის 2025 წლის 31 მარტამდე, ხოლო წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 1620 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

17. „ქალაქ თბილისში, მარჯანიშვილის მოედანზე, დავით აღმაშენებლის გამზირი N86-90-ის მიმდებარედ რეგისტრირებული 634 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ტერიტორიიდან (საკადასტრო კოდი: N01.16.05.002.035) 16 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ტამტამისთვის“ (ს/ნ.: 406348590) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში ღია კაფეს მოწყობის მიზნით. იჯარის მოქმედების ვადა არის 2026 წლის პირველ დეკემბრამდე, ხოლო წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 2880 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 32

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

18. „ქ.თბილისში, მედეა ჯუღელის ქ. N10-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების (ს/კ.: 01.15.03.010.218; 01.15.03.010.219) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერისთვის“ (ს/ნ.: 203826002) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს“, სათაო ოფისის მიმდებარედ, გადაეცემა მიწის ნაკვეთი, შშმ პირებისთვის პანდუსისა და კიბის უჯრედის მოწყობის მიზნით. იჯარის მოქმედების ვადა არის 5 წელი, ხოლო წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 1920 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

19. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კვგ ჯგუფს“ (ს/ნ.: 454409907) შორის, 2020 წლის 6 იანვარს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №-499-5-24641 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის ნაწილობრივ გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ 2020 წელს, აუქციონის ფორმით, განხორციელდა მშველიძის ქუჩა N20-ის მიმდებარედ არსებული 8582 კვ.მ. მიწის ნაკვეთის განკარგვა შეზღუდვით, რომ სამშენებლო განვითარება განხორციელდებოდა განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში, დაბალი ინტენსივობის განაშენიანებით. შესყიდვის შემდეგ, აღნიშნული მიწის ნაკვეთი გაიყიდა 1900000 ლარად, მესაკუთრესთან მოლაპარაკების შედეგად, მოხდა შეთანხმება, რომ დაბალი ინტენსივობის ნაცვლად, განაშენიანება განხორციელდება განაშენიანების რეგულირების გეგმით, საცხოვრებელი ზონა 6-ის პარამეტრებით. აღსანიშნავია, რომ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის თანახმად, პირობის ცვლილების შემთხვევაში, მიწის ნაკვეთის ღირებულების სხვაობა იქნება 518000 ლარი, რასაც კომპანია გადაიხდის ერთი თვის ვადაში.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 3

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

20. „თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 24 ოქტომბრის N3/2418-18 გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით განსახორციელებელ რიგ ღონისძიებათა თაობაზე“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 6 ივლისის N22.1027.1125 განკარგულების ფარგლებში გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ 2000 წელს, მოქალაქე ნიკოლოზ კახეთელიძეს გადაეცა ინგოროყვას ქ. N19-ში მდებარე, 98 კვ.მ. ბინა, თუმცა, 2007 წელს, სხვადასხვა მიზეზებით, მოხდა მისთვის აღნიშნული ფართის ჩამორთმევა. დღეს, გვაქვს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც უნდა მოხდეს აღნიშნული ფართის მესაკუთრისთვის დაბრუნება, თუმცა, ამ მისამართზე, მუნიციპალიტეტს საკუთრებაში აქვს მხოლოდ 80 კვ.მ. ფართი და აქედან გამომდინარე, მუნიციპალიტეტი მოქალაქეს დამატებით გადაუხდის ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის თანახმად განსაზღვრულ თანხას.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 32

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

ნიკოლოზ კახეთელიძემ განაცხადა, რომ წარმოდგენილი საკითხი შედის მის ინტერესში და აქედან გამომდინარე, კენჭისყრაში მონაწილეობა არ უნდა მიეღო, თუმცა, მექანიკურად მიიღო მონაწილეობა და ითხოვა, რომ მისი ხმა არ იქნას გათვალისწინებული კენჭისყრის შედეგში.

21. „ქალაქ თბილისში ბერი გაბრიელ სალოსის გამზირზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 767 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N01.17.14.001.457) და 450 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N01.17.14.001.459) მიწის ნაკვეთების და ქ.თბილისში, ოქროყანას დასახლებაში არსებული 434 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.06.012.159) „მორიგების დამტკიცებისა და საქმის წარმოების შესახებ“ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 8 ივნისის N28/348-22 განჩინებით დამტკიცებული მორიგების აქტის ნაწილობრივ აღსრულების მიზნით პრივატიზების თაობაზე“ საკითხის შეთანხმების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი საკითხი ეხება 2007 წელს, ე.წ. „რიყის პარკში“, კერძო მესაკუთრეებისთვის უკანონოდ ჩამორთმეულ ქონებას. ამ შემთხვევაში გვაქვს სააპელაციო სასამართლოს მორიგების აქტი, რომლის თანახმადაც მუნიციპალიტეტს უწევს შპს „მარაგის“ საკუთრებაში არსებული ქონების (ავტოგასამართი მოედნის) ანაზღაურება 1074000 აშშ დოლარის ოდენობით. აღსანიშნავია, რომ მესაკუთრე ასევე, დაობდა ზიანის ანაზღაურებაზე, რომელიც შეადგენს დაახლოებით 900000 აშშ დოლარს, თუმცა, მასთან მიღწეული იქნა შეთანხმება, მხოლოდ მიწის ნაკვეთის ღირებულების ანაზღაურებაზე. ამ ეტაპზე, კერძო მესაკუთრეს გადაეცემა სამი მიწის ნაკვეთი: ორი მათგანი (767 კვ.მ. და 450 კვ.მ.) მდებარეობს გაბრიელ სალოსის გამზირზე, ხოლო ერთი (434 კვ.მ.) - ოქროყანაში, თუმცა, ეს მიწის ნაკვეთები სრულად არ ფარავს საკომპენსაციო თანხას და მუნიციპალიტეტს ასანაზღაურებელი დარჩება 555 აშშ დოლარი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

22. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ პროექტით წარმოდგენილია რამდენიმე ცვლილება: თუ ფართს არ აქვს სხვა ქუჩაზე გამავალი ფასადი, გამონაკლისის სახით, შესაძლებელი იქნება შენობის ქუჩის მხარეს ფასადზე კონდიციონერების დანადგარების განთავსება, ერთიანი იერსახის დაცვის პირობით; სავალდებულო ხდება გათბობა-გაგრილების მოწყობილობის/დანადგარის განთავსებისთვის სავალდებულო ადგილის გათვალისწინება საპროექტო დოკუმენტაციაში; შესაძლებელი ხდება ქუჩის მიმდებარე გამწვანებულ ზოლზე ან გაზონზე სარეკლამო ბილბორდების და სატრანსპორტო საშუალების დასამუხტი მოწყობილობების განთავსება; გარე რეკლამის კერძო საკუთრებაში განთავსების შემთხვევაში, საჭირო იქნება გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მფლობელის თანხმობა (შეეხება მხოლოდ ახალი აუქციონებით გაცემულ იჯარებს).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

23. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტით, ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილებებთან ერთად, ცვლილება შედის ქალაქგეგმარებით არეალების რუკაში, სადაც შესაძლებელია გრგ-თი განვითარება, კერძოდ: დიდმის ჭალების ტერიტორიაზე „ა“ არეალი იხსნება მხოლოდ და მხოლოდ იმ ნაწილზე, სადაც უკვე დამტკიცებულია ქალაქმშენებლობითი დოკუმენტები (გრგ). ამასთანავე, წარმოდგენილია საკონსულტაციო კომპანია „სისტრას“ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად განსაზღვრული სარაჯიშვილი-ზღვის უბნის საბაგირო დერეფნის და სამგორი-ისანი-ვახისუბნის დაცვის ბუფერების ასახვა გენ.გეგმაში.

გიორგი ტყემალაძემ განმარტა, რომ ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებით, წინადადებები წარმოდგენილია თბილისის მერის წერილებით: N12-032135655-03 თარიღი: 22.12.2021 (განსახილველად წარმოდგენილია მხოლოდ „დ“ პოზიცია), N12-032220211-03 თარიღი: 21.07.2022, N12-032220246-03 თარიღი: 21.07.2022, N12-032220380-03 თარიღი: 22.07.2022, N12-03222152-03 თარიღი: 03.08.2022, N12-032221533-03 თარიღი: 03.08.2022, N12-032221627-03 თარიღი: 04.08.2022 და N12-032221793-03 თარიღი: 05.08.2022, რომელთაგან, საკრებულოს შესაბამისი კომისიების რეკომენდაციით, დამატებით შესწავლას მოითხოვს და უმჯობესია განსახილველად გადაიდოს N12-032220211-03 წერილით წარმოდგენილი „ბ“ და N12-03222152-03 „კ“ პოზიციები, ხოლო დანარჩენ პოზიციებზე ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილება მისაღებია და ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

24. „ქალაქ თბილისში, დიდი დიდმის დასახლებაში, III და IV მ/რ-ებს შორის არსებული, კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულთა დაკმაყოფილების მიზნით მუნიციპალიტეტის მიერ გადაცემული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.07.007.104) განაშენიანების რეგულირების გეგმის გარეშე სამშენებლო განვითარების დასაშვებობის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართობია 19000 კვ.მ., რომლის განვითარება დაგეგმილია საცხოვრებელი ზონა 5-ის პარამეტრებით, 1.8 კოეფიციენტით. იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული ტერიტორია მდებარეობს გეგმარებითად ჩამოყალიბებულ არეალში და უზრუნველყოფილია საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით, თბილისის მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი განაშენიანება განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების გარეშე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

25. „ქალაქ თბილისში, ვაშლიჯვარის დასახლებაში, მარშალ გელოვანის გამზირი N1-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.10.025.085) მრავალბინიანი

საცხოვრებელი სახლისა და საგანმანათლებლო კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 15000 კვ.მ., რომელიც, დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების თანახმად, განვითარდება საცხოვრებელი ზონა 6-ის და სპეციალური ზონა 1-ის პარამეტრებით. კერძოდ, სპეციალურ ზონა 1-ში განთავსდება სკოლა და ბაღი, ხოლო საცხოვრებელ ზონა 6-ში - ერთი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსი, რომლის მაქსიმალური სართულიანობა განსაზღვრულია 13 სართულით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 4

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

26. „ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N81.02.21.953; N81.02.21.679; N81.02.21.689) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 15000 კვ.მ., სადაც, დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების თანახმად, განთავსდება .თორმეტი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი, საცხოვრებელი ზონა 1-ის პარამეტრებით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 5

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

27. „ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში; ქალაქი თბილისი, ლისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N72.16.23.918; N72.16.23.919; N72.16.23.920; N72.16.23.941; N72.16.23.943; N72.16.23.962; N72.16.32.024; N72.16.32.025) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 10000 კვ.მ., სადაც, დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების თანახმად, განთავსდება ცამეტი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი, საცხოვრებელი ზონა 1-ის პარამეტრებით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 4

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

28. „ქალაქ თბილისში, შალვა მშველიძის ქუჩა N18-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.17.09.007.072; N01.17.09.007.073) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართობი 11000 კვ.მ., სადაც, დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების თანახმად, განთავსდება სამი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსი, საცხოვრებელი ზონა 6-ის პარამეტრებით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 3

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

29. „ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, კრწანისის ქ. N72, N74-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.18.06.015.057; N01.18.06.015.153) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 1 აპრილის N85 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართობი 5400 კვ.მ. კორექტირება ეხება მხოლოდ მე-2 სექტორს, კერძოდ, მოთხოვნილია ორ ბლოკში კვ კოეფიციენტის შემცირება 0.6-დან 0.4-მდე და იქიდან გამომდინარე, რომ ხსენებულ ზონაში დაშვებულია კოეფიციენტის შემცირება 0.2-მდე, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული ცვლილების განხორციელება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 4

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

30. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.14.17.001.184, N01.14.17.001.185, N01.10.18.006.134, N01.10.18.006.133) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის N304 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ კორექტირების მიზანია მიწის ნაკვეთების ოპტიმალური გადანაწილება და მცირედი ზრდების აღმოფხვრა, ხოლო სხვა ქალაქმშენებლობითი პარამეტრები რჩება უცვლელი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 3

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

31. „ქ.თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, ყიფიანის ქ.№31-ში მთაწმინდის ქ.№19-17-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2012 წლის 20 სექტემბრის N2767 განკარგულებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ კორექტირებით წარმოდგენილია სამშენებლო არეალისთვის 37 კვ.მ. მიწის ნაკვეთის დამატება, რის შემდეგაც ტერიტორიის საერთო ფართი იქნება 1920 კვ.მ. და ასევე, იცვლება შენობა-ნაგებობების მაქსიმალური სიმაღლეები, რაც მოწონებულია ისტორიული საბჭოს მიერ.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 3

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

32. „ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, გარდაბანში, სოფელ თელეთში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების კორექტირებისა და განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 აპრილის N124 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 13000 კვ.მ. კორექტირება ეხება ორ სექტორს, კერძოდ, ერთ სექტორში, ერთსართულიანი ავტოსამრეცხაოს ნაცვლად განთავსდება ოთხსართულიანი საზოგადოებრივ-კომერციული შენობა-ნაგებობა, ხოლო მეორე სექტორში ორსართულიანი კომერციული შენობის ნაცვლად, განთავსდება ოთხსართულიანი ნაგებობა, რომელიც უტოლდება მომიჯნავედ, სექტორ 3-ში, მდებარე სასტუმროს შენობის სიმაღლეს. რაც შეეხება ქალაქმშენებლობით პარამეტრებს, აღნიშნულ ტერიტორიაზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2, რომლის პარამეტრებსაც შეესაბამება წარმოდგენილი ცვლილებები.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

33. „ქალაქ თბილისში, კრწანისის ქ. N5-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, კრწანისის ქუჩა, N62; ქალაქი თბილისი, კრწანისის II ჩიხი, N2-ში; ქალაქი თბილისი, კრწანისის I ჩიხი; ქალაქი თბილისი, კრწანისის სამთავრობო რეზიდენციის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N01.18.06.015.162; N01.18.06.015.189; N01.18.06.015.159; N01.18.06.015.084; N01.18.06.015.237; N01.18.06.015.235) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტაძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართობია 15000 კვ.მ., სადაც, დაგეგმილია ერთი, ხუთსართულიანი, მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა, საცხოვრებელი ზონა 5-ის პარამეტრებით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 18

თავი შეიკავა - 4

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული.

რადიოფიცირებისა და კენჭისყრის პროცედურების მონიტორინგის კომპიუტერული სისტემაში დაფიქსირდა ტექნიკური ხარვეზი და აქედან გამომდინარე, საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ განმეორებით კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 3

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

34. „ქალაქ თბილისში, სოფელ დილომში, ერედვის ქუჩა, N87, N83, N85, N81, N84, N94, N100, N98, N96, N92, N84, N91, N89-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.72.14.038.116, N01.72.14.038.118, N01.72.14.038.117, N01.72.14.038.657, N01.72.14.056.129, N01.72.14.038.112, N01.72.14.038.368, N01.72.14.038.521, N01.72.14.038.522, N01.72.14.038.915, N01.72.14.038.178, N01.72.14.056.128, N01.72.14.038.972, N01.72.14.038.520) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტაძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართობია 16000 კვ.მ., სადაც, დაგეგმილია 4-6 სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობა, საცხოვრებელი ზონა 5-ის პარამეტრებით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 4

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

35. „ქალაქ თბილისში, ქუჩა ც.დადიანი, N32; ქალაქი თბილისი, ქუჩა რკინიგზა, N30; ქალაქი თბილისი, ქუჩა ც.დადიანი, N26, ჩოდრიშვილის N2; ქალაქი თბილისი, რევავ

ურიდიას ქუჩა, N4-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.12.12.011.111; N01.12.12.011.120; N01.12.12.011.128; N01.12.12.011.001; N01.12.12.011.116; N01.12.12.011.129; N01.12.12.033.023; N01.12.12.033.019; N01.12.12.033.020; N01.12.12.033.022) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტინიძე და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართობი 217000 კვ.მ., სადაც, დაგეგმილია მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობა, სატრანსპორტო ზონა 1-სა და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის პარამეტრებით.

მიხეილ კაკაურიძემ აღნიშნა, რომ კოეფიციენტის ათვისება სრულად არ ხდება, კერძოდ, ტერიტორია ვითარდება 2.0 კოეფიციენტით და დაინტერესდა შესაძლებელია თუ არა კოეფიციენტის დაყვანა 1-ზე.

ოთარ ჩიტინიძემ განმარტა, რომ მთლიანი ტერიტორიის კ2-ის საანგარიშო ფართი გამოდის 2.5 კოეფიციენტი, თუმცა ტერიტორია დაყოფილია სექტორებად და აქედან გამომდინარე, სხვადასხვა სექტორში არის სხვადასხვა კოეფიციენტი, კერძოდ, საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2-ში კოეფიციენტი არის 4.6, ზოგ სექტორში - 3.0, ზოგში - 1.1, ხოლო ზოგში - 1.5 და შესაბამისად, საპროექტო არეალში ჯამური კოეფიციენტი არის 2.5.

საბა ბუაძემ განაცხადა, რომ ურბანული თვალსაზრისით, დღეს საკრებულომ უნდა მიიღოს ერთ-ერთი მიმდევრად გადაწყვეტილება, რადგან ამ ტერიტორიის განვითარება განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებით წარმოდგენილი მასშტაბით თბილისის მთლიანად გამოუსწორებელ ზიანს - ორ რაიონს შეუცვლის ურბანულ ქსოვილს, გამოიწვევს სატრანსპორტო კოლაფსს და ბევრი თვალსაზრისით იქნება ძალიან პრობლემური. აქედან გამომდინარე, მოუწოდა საკრებულოს წევრებს, ყველამ იფიქროს ინდივიდუალურ პასუხისმგებლობაზე და იმაზე, თუ რამხელა ზიანს გამოიწვევს ამ ფორმით წარმოდგენილი ეს პროექტი ჩვენი ქალაქისთვის. მისი თქმით, არ არსებობს არანაირი გარანტია, რომ ამ ტერიტორიის დიდი ნაწილი გამოყოფილი იქნება საზოგადოებრივი გამოყენებისთვის და მივიღებთ სიტუაციას, რომ იმ რაიონებში, სადაც ისედაც ძალიან მცირეა საზოგადოებრივი სივრცეები, გავაჩენთ ახალ, უზარმაზარ ურბანულ ქსოვილს, რომელიც დაკავშირებული იქნება ბევრ სხვადასხვა პრობლემასთან. საუბრის ბოლოს, საბა ბუაძემ, თხოვნით მიმართა საკრებულოს წევრებს, არ მიიღონ ეს გადაწყვეტილება.

ნინო წულაძემ აღნიშნა, რომ სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანების მიხედვით, სამეურნეო წყლების ჩაშვება მოხდება ტერიტორიაზე არსებულ საკანალიზაციო კოლექტორში და ზოგადად, სანიაღვრე წყლების შეკრება მოხდება არსებულ კოლექტორში. აქვე განაცხადა, რომ წვიმის დროს ნაძალადევის და დიდუბის რაიონების სანიაღვრეებზე იკვეთება ძალიან დიდი პრობლემა, დატბორვის თვალსაზრისით და დაინტერესდა რამდენად იგეგმება ამ საკითხის კვლევა, რადგან 217000 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე, რომლის 75% უნდა იყოს საცხოვრებელი ფუნქციის, გაიზრდება დატვირთვა სანიაღვრე წყლებზე. ნინო წულაძემ ისაუბრა მოქალაქეების ჩართულობაზე და დაინტერესდა, რა შინაარსით გააცნეს ადგილობრივ მოსახლეობას ეს პროექტი და როგორ მოხდა მათთან კომუნიკაცია. ასევე, ისაუბრა სამშენებლო სამუშაოების განხორციელების დროზე და აღნიშნა, რომ პროექტში სამუშაოების ჩატარების დრო მითითებულია დილიდან საღამოს 6 საათამდე, თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ გვაქვს იმის პრაქტიკა, რომ სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს ღამის საათებში, რაც სცდება ხმაურის რეგულაციებს, უნდა გაკონტროლდეს, რომ ინვესტორმა მკაცრად დაიცვას აღნიშნული.

რევაზ სოხაძემ აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე საუბარია მხოლოდ პროცესის დაწყებაზე და ეს არ არის რაიმე ფორმით ამ პროექტის შეთანხმება. მისი თქმით, დღეს მუნიციპალიტეტი განსაზღვრავს იმ ქალაქმშენებლობით პირობებს, რომლითაც უნდა მოხდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის წარმოდგენა. მოქალაქეების ჩართულობასთან დაკავშირებით

განაცხადა, რომ ეს პროექტი საკრებულოში წარმოდგენილია ერთ თვეზე მეტია და არის საჯარო ინფორმაცია, პროექტთან დაკავშირებით არაერთი სიუჟეტი იყო გასული ტელეეთერებით, კომისიაზე საკითხის განხილვას ესწრებოდა რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი და შესაბამისად, მოქალაქეების ჩართულობის კუთხით, პრობლემები არ ყოფილა, თუმცა, თუ კიდევ უფრო მეტად არის მოსახლეობის ჩართულობა უზრუნველსაყოფი, პროცესი იწყება ეხლა და შესაძლებელია კიდევ უფრო მეტი აქტიურობა და ერთობლივი შეხვედრების მოწყობა მათთან. რევაზ სოხაძემ ისაუბრა იმ გადაწყვეტილებებზე, რაც ამ პროექტთან დაკავშირებით გუშინდელი განხილვის შემდეგ, მიიღო საკრებულომ: გრგ-ს არეალიდან ამოღებული იქნას „არტ ჰოლის“ ტერიტორია, რადგან მისი უდიდესი ნაწილი უკვე გამწვანებულია ისტორიულად და შესაბამისად, ამ ტერიტორიის გამწვანების ანგარიში ვეღარ მოხდება გრგ-ში; რეკრეაციული სივრცეების მოწყობა მოხდეს მსქმედი კანონმდებლობის ზედმიწევნით დაცვით და რეკრეაცია განთავსდეს რაც შეიძლება დიდ ტერიტორიაზე კონცენტრირებული სახით, რომ ქალაქში მივიღოთ კიდევ ერთი ღირებული რეკრეაციული სივრცე; ამავე დროს მნიშვნელოვანია, რომ მშენებლობის და განვითარების ეტაპები განისაზღვრება გრგ-ს ეტაპზე, რაც ნიშნავს იმას, რომ ჩვენ უზრუნველვყოთ ის, რომ ჯერ მოეწყოს რეკრეაციული და საჯარო სივრცეები და/ან პარალელურ რეჟიმში გაგრძელდეს მშენებლობა, რათა ისე არ აღმოჩნდეს, რომ ჯერ აშენდეს კორპუსები და საჯარო დანიშნულების და რეკრეაციული სივრცეების მოწყობა გადავიდეს უკანა პლანზე. მისი თქმით, თუ ყველანი ვთანხმდებით იმაზე, რომ ეს ტერიტორია უნდა განვითარდეს და ჩვენ ვამბობთ, რომ ყველაფერს გავაკეთებთ და გვაქვს შესაძლებლობა, მივიღოთ კარგი გრგ, გაუგებარია, რაშია პრობლემა. ის სურათი, რაც დღეს ოპოზიციამ წარმოადგინა, არაფრის მეტყველი არ არის, რადგან წინასწარი ესკიზი რადიკალურად შეიცვლება და ვისაც ოდესმე არქიტექტურულ პროექტთან ჰქონია შემხებლობა და უმუშავია ამ საკითხზე, იცის, რომ პირველადი ესკიზი რადიკალურად განსხვავდება საბოლოო პროდუქტისგან. ამიტომ, ვერ გაიზიარებს აზრს, რომ რაიმე საგანგამო ხდება. რევაზ სოხაძემ დაადასტურა, რომ პროექტი ძალიან მნიშვნელოვანი და მასშტაბურია და აღნიშნა, რომ ჩვენ, ყველა, ვართ პასუხისმგებელი იმაზე, რომ ეს პროექტი იქნება ისეთი, როგორც შეესაბამება დღეს თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანულ პოლიტიკას. მისი თქმით, მუნიციპალიტეტის პოზიცია ტრანსპორტთან დაკავშირებითაც იქნება ძალიან პრინციპული, რომ რაიმე ფორმით კი არ გააუარესოს ამ მიმართულებით არსებული მდგომარეობა, არამედ, პირიქით, გააუმჯობესოს, რათა მოგვარდეს ამ უბნებში ისტორიულად არსებული პრობლემა და შეიქმნას განივი კავშირები. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ დღეს იწყება მუშაობა და რამდენიმე თვეში, როდესაც გვექნება საბოლოო პროდუქტი, გვექნება შესაძლებლობა ერთად შევაფასოთ, მივიღეთ თუ არა კარგი პროდუქტი.

ოთარ გრიგოლიამ განაცხადა, რომ პროექტის წინააღმდეგ გაჟღერებული არც ერთი არგუმენტი არ არის არსებითად გააზრებული, გარდა ორისა, რომლებიც, მისი აზრით, დასაფიქრებელი და მნიშვნელოვანია: სატრანსპორტო განივი კავშირების შექმნა და საჯარო ინფრასტრუქტურის მოწყობა. ფიქრობს, რომ ქალაქს გაცილებით ძვირი უჯდება სუბურბანული განვითარების პროცესში აუცილებელი ინფრასტრუქტურის შექმნა, ვიდრე დაუჯდება ქალაქის შიგნით განვითარებული განაშენიანების შემთხვევაში და ამიტომ, ამ გადაწყვეტილებით ერთი მნიშვნელოვანი რაღაც უნდა მივიღოთ ცნობად - ქალაქის შიგნით განვითარება, ერთი მხრივ, მნიშვნელოვანია იქიდან გამომდინარე, რომ ინფრასტრუქტურა განვითარდება შიგნით და არ გავა გარეთ და მეორე მხრივ, ამან უნდა შეამციროს დაწოლა საცხოვრისზე, რაც, თავის მხრივ, შეამცირებს სუბურბანულ განვითარებას. საუბრის ბოლოს, ოთარ გრიგოლიამ აღნიშნა, რომ ამხელა განაშენიანების და ასეთი მოცულობის გრგ-ს დამტკიცების პროცესში, ქალაქმა უნდა მიიღოს მნიშვნელოვანი საჯარო სივრცე, მათ შორის, რეკრეაციული ფორმით და განაცხადა, რომ „იმ შემთხვევაში დავუჭერ ამ პროექტს მხარს, თუ ეს იქნება მინიმუმ 4 ჰექტარის რაოდენობის“.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 3

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

36. „ქალაქ თბილისში, ქინძმარაულის ქუჩა N12; ქალაქი თბილისი, ჭიჭინაძის ქუჩა, თარგი N1-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N01.19.33.012.052; N01.19.33.012.014; N01.19.33.012.011) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართობი 21000 კვ.მ., სადაც, დაგეგმილია ორი, მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა, საცხოვრებელი ზონა 6-ის პარამეტრებით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 4

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

37. „ქალაქ თბილისში, სოფელ შინდისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.18.06.013.017) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ.

გიორგი ტყემალაძემ განმარტა, რომ წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით, მესაკუთრემ მოითხოვა ადმინისტრაციული წარმოების შეჩერება და აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია საკრებულომაც მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 3

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 23

გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული.

38. „მისამართებზე - ქ.თბილისი, ა.წერეთლის გამზირი N23-25 (ს/კ.: N01.13.07.008.002), ქ.თბილისი, ბათუმის ქ.N11, ა.წერეთლის გამზირი N19-21 (ს/კ.: N01.13.07.008.003) მდებარე ობიექტისთვის დაუმთავრებელი მშენებლობის სტატუსის მინიჭების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჯოლიანმა და განმარტა, რომ ხსენებულ მშენებლობას ჰყავს სამასამდე დაზარალებული, ხოლო მშენებელი ინვესტორი იმყოფება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ქვეშ და იმისათვის, რომ დავეხმაროთ აღნიშნულ მშენებლობას, საჭიროა ჰქონდეს სტატუსი, თუმცა აღსანიშნავია, რომ ობიექტის სირთულიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტს ელოდება ძალიან რთული მოლაპარაკებები.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

39. „ქ.თბილისი, შარტავას ქ.№1 (ს/კ.: N01.10.13.015.114); ქ.თბილისი, შარტავას ქ.№3 (ს/კ.: N01.10.13.015.112), ქ.თბილისი, პეტრე იბერის ქ.№6, კორპუსი 14, (ს/კ.: N01.10.06.001.115); ქ.თბილისი, აკ.ბაქრაძის ქ.№16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი №1ა-1ბ, დიდმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ.: N01.10.10.025.029); ქ.თბილისი, მარიჯანის ქუჩა №2 (ს/კ.: N01.14.03.039.007); ქ.თბილისი, კოსმონავტების ქ.№45-47-49 (ს/კ.: N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142); ქ.თბილისი, ბოხუას ქ.№10, (ს/კ.: N01.13.02.005.006) - არსებული სამშენებლო ობიექტების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ (ს/ნ.: 204460957) და შპს „დელისი დეველოპმენტის“ (ს/ნ.: 405466865) მიმართ მისამართზე - ქ.თბილისი ვაჟა-ფშაველას I შესახვევი, №1/43 (ს/კ.: N01.14.03.034.011) მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და განმარტა, რომ დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების ფარგლებში შპს „დელისი დეველოპმენტი“ 905435 ა.შ.შ. დოლარით დააფინანსებს შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ ობიექტებს, ხოლო სანაცვლოდ, კომპანია მშენებარე ობიექტზე, მიიღებს კ2 კოეფიციენტის მატების უფლებას 4.6-დან 5.3-მდე.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილე გიორგი ახვლედიანმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 3

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

40. „შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ.: 204460957) და შპს „დომუს - ვაკის პარკის“ (ს/ნ.: 405127937) მიმართ გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და განმარტა, რომ დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების ფარგლებში შპს „დომუს - ვაკის პარკი“ 477587 ა.შ.შ. დოლარით დააფინანსებს შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ ობიექტებს, ხოლო სანაცვლოდ, კომპანია, ჭაჭავაძეზე მდებარე ჩვიდმეტსართულიან ობიექტზე მიიღებს კ2 კოეფიციენტის მატების უფლებას 3.5-დან 3.9-მდე, რაც ნიშნავს იმას, რომ შენობა იქნება ცხრამეტსართულიანი.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილე გიორგი ახვლედიანმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 3

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

